№ 233

1877–1901

პარასკევი, 26 ოქტომბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ივერია

№ 233

პარასკევი, 26 ოქტომბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

...წიგნად-მოქმედთა კრების სხდომა მოხდება 25, 26 და 27 ამა ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში. (3—228—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(...უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

...ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. ...დოსტაქრო, ვენერიული (სიფილი...ი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. ...ნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ...ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა ს...ეთ ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ...ურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ...პეტიანცი. 1—1½ ს. ...შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. ...ქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ...ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ...ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. ...უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

პ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

...ჯუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი ...აგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

უ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ს. ა. ვოინო—ხირურგიული (სადოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

კბილის ექიმი

ალ. გ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9 საათიდგან 2-დე და საღამოთი 5—7-დე.
კვირა-უქმობით 1 საათამდე.
მიხეილის ქუჩა, № 32.
(5—უ.—3)

ახალი ამბავი

—

*** გზათა სამინისტროში ლაპარაკი თურმე აღძრული რკინის გზის სამსახურში ტელეგრაფისტებად მცირე წლოვანნი აღარ მიიღონ ხოლმე.

*** ფინანსთა სამინისტროში დედათა საკომერციო სასწავლებლებისათვის ახალი სამოსწავლო პროგრამმების პროექტის შემუშავებას შესდგომიან.

*** ტფილისელს მკერვალს ებრაელებს „გაჭირვებულ მკერვალ ებრაელების დამხმარებელ საზოგადოების“ წესდების პროექტი შეუდგენიათ და ტფილისის საგუბერნიო მთავრობისათვის წარუდგენიათ დასამტკიცებლად, მაგრამ გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნს სვეჩინს პროექტი პოლიცმეისტრისათვის დაუბრუნებია გადასაცემად და გამოუცხადებია, რომ ეს შუამდგომლობა იმ დრომდის შეუძლებელია შეწყნარებული იქმნეს, ვიდრე თითონ მთავარი საგანი არ გადასწყდება, აქვთ თუ არა უფლება ებრაელებს ტფილისში ცხოვრებისაო.

*** სასოფლო-სამეურნეო და საპეციალო სატეხნიკო განათლების რუსეთში გასავრცელებლად საერო განათლების სამინისტროს საგანგებო სესხი გამოუთხოვნია.

*** გორისა, დუშეთისა, ახალციხისა, თელავისა, სიღნაღისა და კოჯრის თვითმმართველობათათვის ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნს სვეჩინს წარსულის წლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიში მოუთხოვნია.

*** რუსეთის ებრაელთა შორის განათლების გამავრცელებელს საზოგადოებას საერო განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ მთავრობის სასწავლებლებში ებრაელების განსაზღვრულ რიცხვის მიღება გაუქმებული იყოს და ნება დაერთოთ ებრაელებისათვის ცალკე სკოლების გახსნა დაუბრკოლებლივ შეეძლოსთ.

*** საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკი თურმეა აღძრული ნება მიეცესთ ქალებს ვაჟების გიმნაზიებში მასწავლებლობისა, არა მხოლოდ უცხო ენებისა, არამედ დანარჩენ საგნებისაც პირველს ოთხს კლასში.

*** განზრახვა თურმე აქვთ ავადმყოფ გენერლებისა და ოფიცრების რკინის გზით წაყვან-წამოყვანის დროს ცალკე განყოფილებაში, რომელსაც ამ შემთხვევაში უთმობს ხოლმე რკინის გზა სამხედროთ, ერთის ბილეთის ფასი გადაახდევინონ ხოლმე და დანარჩენ ადგილებისა, რომლებიც ავადმყოფს უჭირავს, მხოლოდ ის ფასი, რა ფასიც პლაცკარტებისათვის არის დადებული.

*** ქალაქის ინჟინერის თანამდებობაზედ ენფიანჯიანცის მაგივრად, რომელიც ქალაქის გამგეობის წევრად იქმნა ამორჩეული, ქალაქის ინჟინერად ნამყოფს ბ-ნს დზერჟანოვსკის ასახელებენ.

*** მალე გამოიცემა მაჩვენებელი იმ ქაღალდებისა და საბუთებისა, რომელზედაც საგერბო გარდასახადია დადებული.

ფელეტონი

—

...ენი ცხოვრება და მწერლობა.

(...ფლის მღვდლების და მასწავლებლების საყურადღებოდ).

—

...ყოველი საზოგადო მოქმედება ...და იზომებოდეს იმ სარგებლო...ით, რომლის მოტანაც დღეს ან ...მავალში მას შეუძლიან. ამ გვა...დ საზოგადო მოქმედების აუცი...ლებელ საჭიროებად უნდა ითვლე...ოდეს წინდახედულება და გამჭრი...ობა იმისა, თუ მომავალში რამ შე...ლება დააბრკოლოს ეს საზოგადო ...მედება და მისი შედეგი. ამისა...ვის დიდად საჭიროა თავიდგანვე ...ნდეს გათვალისწინებული, რა სა...ულებით შეიძლება საზოგადოე...ბისათვის საკეთილო მოძრაობის ...აბრკოლებელი გარემოებათა შე...სუტება, სრულიად მოსპობა. ეს ...აზრება ყოველთვის უნდა გვქონ...დეს თვალწინ, როდესაც ჩვენის ...დღევანდელ მწერლობის ავლა-დიდებას, მისს სარგებლობას ვითვალისწინებთ. მაგრამ სამწუხაროც ის არის, რომ რამდენადაც მეტს ჩაუკვირდება კაცი ამ საგანს, რამდენადაც უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევთ ჩვენის ცხოვრების სვლასა და განვითარებას, მეტადრე სოფლად, იმდენად უფრო რაღაც უიმედობის ბურუსში ეხვევით, თუმცა თქვენი მთელი არსება სულ იმის ცდაშია, ეს სულის შემხუთავი უიმედობა როგორმე განდევნო. მიზეზი უთუოდ ის უნდა იყოს, რომ ოდესღაც ძლიერი სოფელი დღეს თან-და-თან ჰკარგავს თავისს ძალას და თან ქალაქშიაც ვერაფერი ძალა მოვიპოვეთ, რომ ადვილად შეგვეძლოს სხვებთან ერთად მოქალაქობრივს და სამრეწველო ცხოვრებაში წინ წავდგეთ.

ამასთანავე ჩვენს მწერლობასაც იგივე უძალობა და უნიადაგო მოქმედება ეტყობა, რადგანაც ნამდვილი ცხოვრების გამომხვატველი ვერ არის მისი წინგამძღოლი. ხშირად მრუდს გზაზედ აყენებს ხალხსა. მაგრამ ვერც იმას იტყვის ვინმე, რომ ჩვენი მწერლობა სრულებით არ იდგეს წინმსვლელობის გზაზედ. იმ გარემოებაში, რომელშიაც დღეს ჩვენი მწერლობა იმყოფება, მისი დღევანდელი მდგომარეობა და სარგებლობა სწორედ თვალსაჩინო და ყურადღების ღირსია, ჩვენის მწერლობის გავლენა ხალხზე დღითი-დღე მატულობს. თუ ჩვენს მწერლობას 30 წლის წინად 300 მკითხველი ძლივს ჰყავდა, დღეს მას 4000—5000 მკითხველი მოეპოვება, მაგრამ მკითხველთა რიცხვი ორჯერ და სამჯერ მეტიც იქნებოდა, თუ მწერლობა უფრო საჭირ-ბოროტო საგნებს ჩასჭიდებდა ხელსა და არა განყენებულს საგნებსა და პირადობასა.

მართლაც-და, ჩვენ რომ რიგიანს პირობში ვიყვეთ და უფრო შეგნებული და ხარბი მეტოქები არა გვყავდეს, უვარგისი სკოლის დაუხმარებლადაც-კი იმდენად იმატებდა მკითხველთა დღევანდელი რაოდენობა, რომ ჩვენში ლიტერატურის ხმა სრულიად არ იქმნებოდა მღადადებელ ხმად უდაბნოსა შინა და არც ასე მკრთალი და ჩუმარილო იქმნებოდა, მეტი აღმაფრთოვანებელი, მომხიბლავი, მკითხველის წამაქეზებელი ძალა ექმნებოდა. დღეს-კი ჩვენი მწერლობა ძლიერა სუსტობს; მკითხველთა მცირედს რიცხვს ერთი-და დაჰრჩენია: იკითხოს ხშირად ჭორების ამბავი ან-და პირადობის ნიადაგზედ ატეხილი პოლემიკა. ერთი გაზეთი მეორეს უკიჟინებს: ჩვენის გაზეთის შესახებ ავრცელებენ რაღაც უკუღმართს ხმებს და ამ ხმის გამავრცელებელი ერთი ჩვენი გაზეთის თანამშრომელიაო. შემდეგ ამას მოჰყვება პირველის გაკიცხვა მეორე გაზეთის თანამშრომლისაგან, რითაც მტკიცდება მართლა, რომ რაღაც მიმზგავსებული მართლაც ყოფილა, მაგრამ განა ღირდა ამის გამო მკითხველების შეწუხება? ან-და, ბ-ნს ზდანოვიჩს სადღაც რაღაც ულაპარაკნია ბ-ნის ვას. წერეთლის გამო და ბ-ნი წერეთელი ამ საეჭვო ამბისა გამო სასტიკად ამხილებს ერთ-ერთს „კვალის“ ნომერში ზდანოვიჩის და მარტო ამითი საქმე არა თავდება. ამ გვარს შემთხვევებს, რამდენიც გნებავთ, იმდენს შეჰხვდებით ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

ადამიანის ცხოვრებაში ჭორს ისეთი დიდი ალაგი უჭირავს, საუბედუროდ, რომ თითქოს ერთი რამ აუცილებელი სოციალური მოვლენა იყვეს იგი. ჭორიკანობს ქალაქი, ჭორიკანობს სოფელი, ჭორიკანობს მეცნიარი და უმეცარი. თუმცა იმავე დროს, საბედნიეროდ, ყველას კარგად ესმის, რომ ჭორი შეუფერებელი და გასაკიცხავი რამ არის. მწერლობაც კერძო ცხოვრებაში შეიძლება ვერა ჰლალატობდეს ამ საზოგადო სენს, მაგრამ ჟურნალ-გაზეთები-კი უნდა იყვნენ თავისუფალნი ამ არა სასიამოვნო მოვლენისაგან, რადგანაც ამისათვის შეიძლება კაცმა სხვა საშუალებას მიჰმართოს და არა საქვეყნოდ გამოჰფინოს თვისი სხვასთან პირადი უკმაყოფილება. ჩვენს მწერლობას იმდენი საჭირ-ბოროტო საგანი აქვს გადასაწყვეტი, რომ შეუძლებელია მართლაც ამ წვრიმალებს დაახარჯონ თავისი ძალა; გარდაწყვეტის შემდეგ-კი, უკაცობის გამო, იგივე მწერლობის წარმომადგენელნი უნდა ჩაუდგნენ იმ საქმეს სათავეში, რომელიც თეორიულად გარდაუ...

*** რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა საბაჟო კრებაზედ, რომელიც დეკემბერში უნდა მოხდეს, სხვათა შორის, განიხილვენ იმასაც, თუ რუსეთის ღვინოებსა, კონიაკსა და არაყს რკინის გზით გადატან-გადმოტანის დროს რა უნდა გარდაჰხდეს.

*** მომავალს წელს პირველ დასაწყის სკოლების მასწავლებელ ქალთა და კაცთათვის განსამეორებელ დამატებით კურსების გასამართავად საერო განათლების სამინისტრო ცალკე კრედიტსა თხოულობს.

*** მომავალ წლიდგან სამთო ინჟენერების შვილებსაც ისრევე კონკურსით მიიღებენ, როგორც სხვებს იღებენ სამთო ინსტიტუტში.

*** მკითხველებს ამას წინად ვაუწყეთ, რომ ტფილისის ნაფიც ვექილებმა დააარსეს ბიურო, სადაც ძალიან მცირე ფასად მთხოვნელთ ქაღალდებს უწერენ და სხვა დახმარებას უწევენ. ამ ბიურომ მოქმედება დაიწყო 10 ოქტომბრიდგან. როგორც შევიტყეთ, დღემდე ამ ბიუროთი 800 მთხოვნელს უსარგებლნია.

*** 25 ოქტომბრის სხდომაზედ მეღვინე-მევენახეებმა შეადგინეს სია ყველა იმ წამლებისა და იარაღ-მანქანებისა, რომელნიც მეღვინეობაშია გამოსადეგი სხვა-და-სხვა მავნე მწერებთან ბრძოლის დროს. ეს სია წარედგინება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შესავსებლად და სამინისტროში გასაგზავნად. საბჭომ უნდა სთხოვოს მთავრობას, რომ მათი საზღვარგარეთიდგან შემოტანა ჩვენში უბაჟოდ შეიძლებოდეს.

*** ტფილისის საბჭოს 23 ოქტომბრის გარდაწყვეტილება ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრის თანამდებობაზე ქალაქის ინჟენერის ტ. ენფენჯიანცის არჩევანის და ობილთა სასამართლოს თავმჯდომარედ ბ-ნ სულიევის დანიშვნის შესახებ ქალაქის გამგეობამ გუშინ წარუდგინა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს დასამტკიცებლად.

*** 25 ოქტომბრის სხდომაზედ ქალაქის გამგეობამ განსაკუთრებულ კომისსია ამოარჩია, რომელსაც მიანდო ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან წარსულის წლის შემოსავლის გამორკვევა; საჭიროა ეს იმიტომ, რომ ხელშეკრულების ძალით ქალაქი რამდენიმე პროცენტს იღებს უსახელო საზოგადოების წმინდა შემოსავლიდგან. კომისსიაში ამოირჩიეს ქალაქის უფროსი ბუჰღალტერი ერემიშევი, კონტროლიორი სარქისოვი და ბუჰგალტერი ათანასიანცი.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტი 1 ნოემბერს, სხვათა-შორის, განიხილავს საქმეს შტაბს-როტმისტრის კონსტანტინე ცომაიასას, რომელსაც პოლიციის ბოქაულის წინააღმდეგობის გაწევა და შეურაცხება ჰბრალდება.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის 25 ოქტომბრის სხდომაზედ გამგეობის წევრმა თავ. ვ. ჩერქეზიშვილმა აღსძრა საკითხი ქალაქის გამგეობის სადგომის შეკეთების შესახებ. გამგეობამ, ვიდრე ხარჯთ-აღრიცხვის შედგენამდე, საჭიროდ დაინახა განსაკუთრებულ კომისსიის ამორჩევა, რომელსაც უნდა დაევალოს სადგომის დათვალიერებისა და იმის შესახებ თავის მოსაზრების წარდგენა. კომისსიის წევრად არჩეულ იქმნენ ქალაქის მდივანი სტ. ჭელიშვილი, ეგზეკუტორი ცვეტოვი და ქალაქის ტეხნიკოსი ზურაბიანცი.

*** მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ ორის დღის წინად ბ-ნმა ზავაროვმა მოახსენება წარუდგინა კავკასიის მეღვინე-მევენახეებს, აღიძრას შუა დგომლობა, რომ 1896 წლის 12 თებერვლის კანონი მთელს კავკასიაზე იქმნას გავრცელებული. ხმის უმეტესობით მაშინ ეს წინადადება მიიღეს, მხოლოდ განსაკუთრებული კომისია ამოარჩიეს და იმას მიანდეს ზოგიერთ დამატებით წინადადებების შემუშავება. 25 ოქტომბრის სხდომაზედ მეღვინე-მევენახეებს კომისიამ, სხვათა შორის, მოახსენა, რომ შავის ზღვის პირის გუბერნიაში სახელმწიფო მიწები ეძლევათ უმთავრესად რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან გადმოსახლებულთ, ადგილობრივ-კი არიან ისეთი მცხოვრებნი, რომელთაც მიწა-წყალი არ გააჩნიათ და რომელთაც შეუძლიანთ აღნიშნულ კანონის მოთხოვნილების შესრულება. კომისსიის აზრით, საჭიროა შუამდგომლობა აღიძრას, რომ 12 თებერვლის კანონი კავკასიაზედაც იქმნას გავრცელებული. სახელმწიფო მიწების ამ კანონით მიღების დროს უპირატესობა უნდა მიეცეთ უმთავრესად ადგილობრივ უმიწაწყლო გლეხობას. კრებამ ეს წინადადებაც და ორი სხვაც შეუცვლელად მიიღო.

*** ეს ორი თვე იქნება, რაც გაუწმენდელია თურმე მტკვრის ნაპირები წყლის პირის ქუჩის ახლო. გუშინ პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას დანიშნულ იქმნას მუშათა რაზმი ამ ადგილების გასასუფთავებლად.

*** პოლიციის მეშვიდე ნაწილში, პოდგორნი ქუჩაზე, მეტად დაძველებულა ბელოზერსკის სახლი, რომელიც თოვლიან ამინდისა ანუ ქარების დროს ადვილად შეიძლება ჩამოინგრეს და უბედურება გამოიწვიოს. ამის გამო აღნიშნულ ქუჩის მცხოვრებლებმა მიჰმართეს გუშინ ქალაქის გამგეობას და სთხოვეს მალე დანიშნოს ტეხნიკოსი ამ სახლის დასათვალიერებლად.

შავი-ქვის მრეწველთა ჯგუფი.

—

როგორც წინა წერილებშიაც გვქონდა მოხსენებული,*) შავი-ქვის მრეწველთა მიერ არჩეულმა კამისსიამ წარსულის თვის განმავლობაში ყოველივე საჭირო ცნობანი და მასალა შეჰკრიბა, შეიმუშავა წვრილ ჯგუფებისათვისა და საერთოდ ამხანაგობის წესდებანი და 14 ამ თვეს მრეწველთა საზოგადო კრება მოახდინა ჭიათურაში, სადაც ორასამდე მრეწველი გამოცხადდა. კრებამ გასტანა ექვსს დღეს და მხოლოდ გუშინ დასრულდა. პირველს ორს დღეს კომისსიამ გააცნო კრებას წესდებანი, რომელნიც მცირე ცვლილებით იქმნენ მიღებულ-მოწონებულნი. მესამე დღეს მოიწვიეს საჩხერის ნოტარიუსი და შეუდგენ ახლა ჯგუფებისა, ანუ წვრილ ამხანაგობათა დაარსებას. სრულის ამხანაგურის წესით ჯგუფების რიცხვი თექვსმეტამდეა და თვითოეულს ჯგუფში 4—5 კაციდგან ვიდრე 15—16-დეა; ყველა ჯგუფს ჰყავს თითო წარმომადგენელი; მრეწველთა მცირე რიცხვი დარჩა ამხანაგობათა გარეშე, უმამულობის გამო არ იქმნენ ჯერ ხანად ჯგუფებში მიღებულნი, მაგრამ, იმედია, კომისსია და გამგეობა უთუოდ ეცდებიან მოუპოვონ მათ იჯარით მადნები და მით მისცენ საშუალება ამ საქმეში მონაწილეობის მიღებისა.

ამ საერთო საქმეში შემოვიდნენ კიდევ ახლად (კრების დროს) ოცდა ათამდე შავი-ქვის მრეწველნი. მაშასადამე, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არავინ არ დარჩება გარეთ, თუ ეს საქმე თავიდანვე დაანახვებს ხალხს ხეირსა და სარგებლობას. ჯერ ხანად მხოლოდ 30—40 მრეწველი იქნება გარეთ დარჩენილი, მეტი არა. უმეტესს მათგანს კუჭი აუწვეს პინჩერისა და ფორუდის დროინდელმა ამხანაგობებმა და მით არიან ახლაც დამფრთხალნი; ზოგი ჯერ გარედან უყურებს სეირს; ფიქრობს: თუ კარგად წავიდა საქმე, იქ შესვლას ვინ დამიშლისო, თუ არა და, ქე ვარ ჩემთვის თავისუფლადა; ზოგიც გარეთ დარჩენით ელის მეტს სარგებლობასა და სხ. მაგრამ, ჩვენის აზრით, ყველანი ტყუვდებიან. ვგონებ, აქ აღარ უნდა გამეორდეს ის შეცდომანი, რაც წინანდელს ამხანაგობებს მოუვიდათ და მით გარეთ დარჩენილებმა არ უნდა ისარგებლონ ამხანაგობაში შემოსულთა საზარალოდ.

ამასთანავე კამისსიამ ჩამოართვა მრეწველთ საჭირო თამასუქები ბერლინის სინდიკატისათვის გარანტიათ. ამ მოკლე ხანში კომისსიის თავმჯდომარე ბერლინში გაემგზავრება, სადაც ამ საქმის საჩქაროდ გასაჩარხადა და სამოქმედოთ გვიწვევს მანგან-სინდიკატი (Mangansyndikat). ამ რიგად საქმე გათავებულია და ამ მოკლე ხანში მოქმედებაც დაიწყება.

მაგრამ, მართლა გათავდა საქმე, თუ არა? არა, აკლია ერთი რამ, სახელდობრ, ის მთავარი ცემენტი და მექანიზმი ჯგუფების შეერთებისა ერთ ვრცელ კავშირადა და ცენტრალურ გამგეობად თავისს ბიუროთი, რომელიც უმთავრესი მომქმედი მანქანა იქნება საქმის მსვლელობაში.

ჯგუფთა შემაერთებელი წესდება უკვე შედგენილია, განხილული და მოწონებული კრებაზედ. მაგრამ მისი დამტკიცება იმ დრომდის არ იქნება, სანამ ჯგუფები საჭირო ფორმალურს მხარეს არ შეასრულებენ, ე. ი. სანამ არ წარადგენენ თავიანთს წესდებებს ასლითურთ ქალაქის საბჭოში ჩასანიშნადა და გამოსაქვეყნებლად. მასთან წარმომადგენელებმა უნდა შეადგინონ ჯგუფების წევრთა მადნების სრული სიაც, ნოტარიულის წესით დამოწმებული და უნდა წარუდგინონ იგი კომისსიას. ამის შემდეგ უნდა მოხდეს ისევ კრება, შეკავშირდენ სრულის ამხანაგურის წესითა, აირჩიონ გამგეობა და აღნიშნონ ბინა ცენტრალურ ბიუროსათვის. მთელი ეს საქმე გასტანს, ვგონებ, ერთ თვემდე. ამავე დროს ბერლინის სინდიკატიც ეცდება გაყიდოს ქვა, გამოგზავნოს ავანსი და დააარსოს ჩვენში ბიურო.

ამ რიგად ყველაზედ უფრო მძიმე საქმე, ესე იგი ბერლინის სინდიკატთან შეთანხმება, პირობის წერილის შემუშავება და შეკვრა, მრეწველთა შეერთება, საჭირო მასალის შეკრება, წვრილ ჯგუფთა და საერთო კავშირის წესდებების შედგენა და თვით ჯგუფების დაარსება, უკვე შესრულებულია. კომისსიას აკლია ახლა ორი რამ: ჯგუფების შეკავშირება ნოტარიულის წესითა და გამგეობის დაარსება საზოგადო კრების წარმომადგენელთა მეოხებით. შემდეგ მთელი საქმეები და მათი მმართვა გამგეობისა და წარმომადგენელთა ხელში გადავა. ასე რომ ამიერიდგან მანგან-სინდიკატი იცნობს მხოლოდ ცენტრალურს გამგეობას, გამგეობას საქმე ექნება მხოლოდ წარმომად-

---

*) იხ. „ივერია“ №№ 186 და 206.

ყვეტიათ, თორემ სიტყვა სიტყვად დარჩება და გაჭრება, ვითარცა კვამლი. დაგვიანება და იმისი ცდა, რომ ნათქვამი გამგონს მოსძებნის, ჩვენს მდგომარეობაში მეტია, რადგანაც ეს ჩვენი დრო სულ სხვა დროა, ნამდვილი მძიმე ავადმყოფობის კრიზისის მომაგონებელია, და არც ხომ კითხვის წყურვილია საკმარისად გავრცელებული ჩვენში. დღევანდელი დრო ცხადად გვეუბნება: თვალს ჩინი, ყურთა სმენას უმატე და ხელიც მარდად გაანძრიე, თორემ შენის ლუკმა-პურისაკენ, რომელსაც პირისაკენ მიეზიდები, ათასი და ათი-ათასი აწვდის ხელს.

მხოლოდ ლაპარაკი და არა საქმიანობა დაგვაკარგვინებს იმას, რაც ხელში გვიჭირავს, დაგვაკარგვინებს მიწა-წყალს, ურომლისოდ ცოცხალნი აღარ ვიქნებით, დაგვაკარგვინებს იმ ორს უბადრუკს დაწესებულებას, რომელიც-ღა დაგვრჩენია სალაპარაკოდ და მერმე ხომ უნდა დავდოთ საკო პირსა ჩვენსა, რადგანაც მწერლობა რის მაქნისია, თუ სალაპარაკო არა გვექნება-რა. დღესაკი მოჭარბებულიცა გვაქვს გასაკეთებელი და სალაპარაკოც, ასე რომ დღევანდელი ჩვენი ერთი მეორესთან კინკლაობა ჩვენის მეთაურების უშინაარსობასა, უსაქმობასა ჰნიშნავს მხოლოდ ტ სხვა არასფერს.

აგერ, ნახევარი წელიწადი იქნება, რაჭის ცხოვრებას ვაკვირდები, ბევრი კარგი შემიმჩნევია ხალხში, ბევრი ცუდი, მაგრამ ვერავითარი საშუალება ვერ მინახავს კარგი ვუქო ხალხს, ცუდი ვუგინო პირში; არც ჩემთვის, არც სხვისთვის არავითარი ნიადაგი არ არის, რომ კაცი მოელაპარაკოს მათ, ისე დაფანტულ-დაქსაქსულები არიან რაჭველები სხვა ქვეყნებში, რის ერთად ერთი მიზეზიც უმამულობა და უმუშავრობაა ადგილობრივ.

დიდი ხანია რაჭამ მიწა-წყლის სივიწროვე იგრძნო და სხვა ქვეყნებში იწყო ლუკმა-პურის ძებნა. მხნეობა და ვაჟკაცობა დიდი ჰქონდა, ბევრი იშოვა ფული და შინ მოიტანა, მაგრამ ვერ იქმნა, რაჭველმა მართლაც ეს უძირო „ჯა“ ვერ ამოავსო. დაუღალავის შრომითა და მუდმივის ოფლით რომ ვერას გახდა, თვალი და გული ვერ გაიძღო, ძველად ნაქები სვინიდისი და პატიოსნება დაჰკარგა და ხშირად უშრომლად მოინდომა გამდიდრება და სხვისი საკუთრების დაპატრონება. ამისი მიზეზი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ რაჭველი შრომით ვერას გახდა, ცხრა მთას იქით ოჯახობა ვერ გააძღო, რადგანაც სახლში ყოველივე სასყიდელი გაუხდა. გიკვირს და თვით რა ჭველსაც უკვირს, მართლა, რატომ რაჭველები ტფილისში ან სხვაგან არა რჩებოდნენ, სადაც რიგიანი ცხოვრების საღსარი მუდამ ჰქონდათ. ვინც ამ ოცის წლის წინედ ტფილისსა და აქ მცხოვრებს რაჭველებს დაჰკვირვებია, უთუოდ გაიკვირვებს, რატომ ვერ მოახერხა და რაჭველი მესაკუთრედ ვერ გახდა აქ, მაშინ როდესაც უფრო გვიან მოსულნი და უფრო ნაკლების გამრჯელობის პატრონნი დიდი ხანია გამდიდრებულან, ქალაქში დასახლებულან. რაჭველი შენაძენს ისევ სახლში, რაჭაში მიეზიდება და ხშირად რამდენსამე ათასს მანეთს აძღევს მამულში, რომელიც სრულიად აღარაფრის მომცემია. დღეს, როდესაც ადგილის სივიწროვე აქ ასრე შესანიშნავი შეიქმნა, როდესაც ამის გამო ავკაცობამაც იმატა რაჭაში, უნებურადა ჰფიქრობ ჟურნალ-გაზეთებისა, ამ ნამდვილ საქადაგებელ კათედრის შესახებ, მაგრამ ამაოდ.. მთელს რაჭაში, სადაც 80,000-დის მცხოვრებია, მოდის მხოლოდ „ივერია“ 9 ნომერი, „ცნობის ფურცელი“ 8, „მოამბე“ 4, „კვალი“ 6, და ისიც ამ გაზეთებს მომეტებულად მხოლოდ დაბა ონში იღებენ და კითხულობენ.

რითი სცხოვრობს მაშ სოფელი და რის მოტრფიალეა, თუ სოფლამდის არავითარი საკეთილო ხმა არ მოდის, რომლის მღაღადებელიც მწერლობა არის; რა უნდა გაიგოს სოფელმა თვისი ან სხვისის ცხოვრებისა, თუ ჩვენში იშვიათადა კითხულობენ სოფლის ინტელიგენტები, მღვდლები და მასწავლებლებიც-კი; ვინ არის მაშ ხალხის თვალის ამხელი, თუ მას ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა თავისს სუსტს ხმას ვერ მიაწვდენს, თუ მის გამოსაფხიზლებლად სოფლის მასწავლებელი ან სხვა ვინმე სოფლის ინტელიგენტი არა ჰმოქმედობს, მეტადრე მღვდელი, რომლის მოვალეობაც დღეს უფრო რთული და მაღლიანია, რომ თვისის მოვალეობის უაღრესად შეგნებას შესძლებდეს. ყველა ეს მხოლოდ სამწუხარო კითხვა ჯერ-ჯერობით.

ყველამ უწყის, რომ ჩვენი სამღვდელოება თან-და-თან უკანა რჩება და თვისს გავლენას ხალხზედ თითქმის სრულიად ჰკარგავს, მაშინ როდესაც ძველს დროში სამღვდელოება ყოველს საქმეში წინამძღოლი იყო...

რაჭაში დღეს ისევ მღვდელსა და მასწავლებელს დაჰრჩენია ნიადაგი ხალხისათვის იზრუნონ, რადგანაც მამულის პატრონთაგანი სულ რამდენიმე ათიოდე არ მოიძებნება, რომელთაც ოჯახისა და სახელმწიფო მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი სამუშაო მოეძებნებოდეთ ადგილობრივ; დანარჩენნი ნასწავლი თუ უსწავლელი, უილაჯობისა გამო რაჭას გაურბის. ასეთი საარაკო ვიწროობაა ამ ჩვენ რაჭაში, ამის გამო მიდის რაჭველ

ნლებთან, წარმომადგენელთ-კი ავიანთ ჯგუფის წევრებთან. მრეელი აგებს პასუხს ჯგუფის წინა-ე, ჯგუფი გამგეობის წინაშე, გამობა-კი ბერლინის სინდიკატის წიშე. აი, ის სისტემა, ის ნიადაგი, რომელზედაც არის აგებული ეს ალი საქმე. ჯგუფის წევრები ურენ ერთმანეთში ქვას, ზოგს მათნს საერთო წარმოებაცა აქვს, ც ფრიად სასურველია, მაგრამ ვა-და-სხვა ჯგუფის ქვები არ ერეან ერთმანეთში, არამედ თვითოული ჯგუფის ქვა იგზავნება ცალ-ე და მის რიცხვსა და ღირსებაში ვითონ აგებს პასუხს გამგეობის ნაშე.

დაბოლოს შევეხოთ გამგეობასაც. ე დაივიწყებენ შავი-ქვის პატივემულნი მრეწველნი, რომ გამგებას ფრიად დიდი მნიშვნელობა ქნებ საქმის ავადა თუ კარგად ველელობაზედ, კარგს გამგეობას ეუძლიან ცუდათ დაწყებულ-აშენებული საქმე განაკარგოს, ხოლო ულს გამგეობას შეუძლიან მტკიე, აზრიანად აშენებული საქმე ალოს, დაასუსტოს და მთლად აკაროს. ეს ხშირი მოვლენაა. ტომ, როგორც მრეწველთა და თ წარმომადგენელთ, ისე კომისას დიდი მოვალეობა აწევს სიმართლით აირჩიონ გამგეობის ევრები, რომ შემდეგ არ ინანონ, ზნეობრივად პასუხის მგებელნი რ გახდნენ ხალხის წინაშე. აქ არტიობას, მეგობრობასა და პიას მტრობა-სიძულვილს არ უნდა ქონდეს არავითარი ალაგი. აირჩიე ზოგადო საქმის მეთაურად შენი ირადი მტერი, თუ გწამს, რომ ვარგებს და სასარგებლო იქმნება ქმეში! ნუ დაზოგავ საკუთარს მასა და შვილს, თუ გჯერა, რომ გი უვარგისია საქვეყნო საქმეში. ამწუხაროდ, ეს მცნება ბევრს არა ქვს ჯეროვანად შეგნებული, ცუდ ეთაურთ ბევრი კარგი საქმე წაუხდენიათ, ქვენი ვნებებსა და გაიძვეობას ბევრი მავნე, უნიჭო კაცები აუსკუპებიათ პარველ ხარისხოვან ავარძელზედ და ვშიშობ, რომ ქაც არ გამეორდეს იგივე მოვლეულის შესაძენად სხვა ქვეყნებში, აგრამ თითქმის მთელი საუკუნეერსად მონახა დასასახლებელი ალაგი—ვერც ტფილისში, ვერც ქართლ-ახეთში, ვერც სამურზაყანოში. ამ დროს-კი ჩვენს კურთხეულს ქვეყანას ვინ არ ეწვია და ვინ არ დასახლდა აქ სამუდამოდ. რაჭველი-კი, როგორც საზოგადოდ ყველა ქართველი, ისევ ძველებურად იმღერის: „საქართველო ჩვენია, ჩვენია“... და ნამდვილად-კი მხოლოდ ალდე შერჩენია... სვანი რომ ზამთარში მთებიდან ვაკეში ჩამოცოცდება და გაზაფხულის დაწყებამდის ისევ მათში აცოცდება, ეს არავისთვის საკვირველი არ არის, მაგრამ რაჭველი რომ მთელი წლობით არ ცხოვრობს სახლში, ცხადია, კარგად შესჩვევია საქართველოს ყოველს კუთხეს, მაგრამ დასახლებით-კი ვერსად დასახლება ვერ მოახერხა, ეს-კი დიდად საკვირველია. ამ 15—20 წლის წინად რაჭაში დიდი შიმშილობა იყო, მკაცრი ზამთარი დადგა, გზები შეიკრა და სიმინდის, ბურის გადმოტანა ახლო მაზრებიდგან შეუძლებელი შეიქმნა. ამ დროს რამოდენიმე ათიოდე მოსახლე რაჭველი გადასახლდა ალაგირისაკენ (თერგის ოლქში), მართალია, დღესაც თითქმის სხვის მამულზედა სახლობენ, მაგრამ კარგის შეძლების პატრონნი შეიქმნენ, დიდად კმაყოფილნი არიან. ეჭვი არ არის, ეს გადასახლება სასიამოვნო მოვლენაა, მაგალითად უნდა მივიჩნიოთ.

რაჭველი ძლიერა გრძნობს გაჭირვებულს ცხოვრებას, მაგრამ მაინც ერთთავად იმას გაიძახის: ჩიტს თავისი გამზრდელი ბუდე უყვარსო და ადგილიდგან არ იძვრის, თუმცა ამავე დროს მაწანწალა ურიასავით დაძრწის საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში ლუკმა-პურის საშოვნელად; ვერ შეუყვარებია თავის სამშობლო ქვეყნის სხვა კუთხეები, თუმცა თითქმის მთელს სიცოცხლეს იქ ატარებს. და ამავე დროს გადამთიელი სომეხი, ბერძენი, ბოლგარელი, პოლონელი და სხ. მშვენივრად ეწყობიან ჩვენში ლ მდიდრდებიან... გაჭირვება აგერ არის დღეს თუ ხვალ თავში ჩაგვიკაკუნებს და რაჭაში-კი ჯერ კიდევ დარჩენილა ძველი ოჯახობრივი განწყობილება, რომელიც შედეგი უნდა იყვეს უთუოდ ხშირის ომიანობისა წარსულში, რასაც მიწა-წყლის ნაკლებობა დიდად ხელს უწყობს. ეხლაც, მეტადრე ზემო რაჭაში, ხშირად შეხვდებით დიდს ოჯახს, რომელსაც 40—80 სული ადამიანი შეადგენს; პეპერა *) და მისი შთამომავლობა ერთს ჭერს ქვეშ მოთავსებულან და ერთს უფროსს ემორჩილებიან. ოჯახის მომეტებული ნაწილი რამდენისამე წლით გადის სახლიდგან სხვა ქვეყნებში ფულის საშოვნელად, შინკი რამდენიმე სული-ღა რჩება ოჯახის მოსავლელად. როდესაც გარედ გასულნი მობრუნდებიან, შინ დარჩენილნი გაუდგებიან გზასა და ასეა მუდამ. ისეც მოხდება ხოლმე, რომ ზამთარში სოფელში მამაკაცებს ვერ ჰნახავთ, სოფელში მხოლოდ ქალები, პატარა ბავშვები და მიხრწნილნი მოხუცნი-ღა რჩებიან. ზემოხსენებულს ოჯახობრივს განწყობილებას სავსებით წარმოგვიდგენს სოფლები: გები, ჯიორა, გლოლი და სხვა მთის სოფლები. მაგრამ ცვალებადია დრო, ცვალებადნი არიან თვით გარემოებანი და ამისი შედეგია ის, რომ აგერ ირღვევა ეს ძველი დროისათვის სასარგებლო და თვალსაჩინო განწყობილება. მართალია, ამ გვარი შეერთება დღესაც კარგია მეტი ძალის მოპოვებისათვის, მაგრამ ცუდი მხარეცა აქვს. დღეს მიყრუებულს კუთხეშიაც იჩინა თავი პირადობის განთავისუფლებამ ინდივიდუალიზმმა: ძმები და ბიძაშვილები ერთმანერთს ეყრებიან და უნებურად უნდა გაჰყონ ის პაწაწკინა სამი სახლი და მიწა-წყალი, რომელზედაც ერთად ძლივს თავსდებოდნენ. გაუყოფელი რა არის, რომ გაყოფილი რამედ გამოჩნდეს? და აკი ამიტომაც ძალის შენახვაც-კი გაძნელებულია: ცხოველს მოსვენების დროს მეზობელის ეზოში ურჩება კუდი, რომელსაც მეზობელი ვერ ჰგუობს და სჭრის. ამას მოჰყვება ხოლმე ცემა-ტყეპა, თავის მტვრევა, ხშირად მკვლელობა ადამიანისა, მერმე გაუთავებელი საჩივარი და უბრალოზედ ილუპება კაცი, მთელი ოჯახი. აქ მოგონილი არა არის-რა. ამ გვარ მაგალითებით სავსეა ჩვენში სასამართლო მატიანე. ერთი სიტყვით, მიწა-წყლის ვიწროობას იმდენი უსიამოვნობა მოაქვს საზოგადოდ ჩვენში და მეტადრე რაჭაში, რომ ძალა-უნებურადა ვფიქრობთ—ნეტავი მაშინ რაღა უნდა ჰქმნან, როდესაც 80—40 სული ათ ოჯახად გარდიქცევა და დასატევი ალაგიც-კი აღარსად ექმნებათ?.. ეს გარემოება, ეჭვი არ არის, მრავალ გვარს ცუდს საქმეს, ადამიანის დამამცირებელს თვისებას გამოიწვევს, გააჩენს ქურდობას ავაზაკობას, გაუტანლობას, დაბეზღებას, შურს და სხ... ეს-კი მით უფრო მოსალოდნელია, რომ სხვა ალაგებში უცხო ხალხი ბევრი მოაწყდა და ძველებურად როდია და როდი იქნება მშრომელი ხალხის საჭიროება, თან ფასიც დაეცემა. ჩვენი ხაღიხი-კი უმიწა-წყლოდ არ ვარგა და არც ივარგებს.

(დასასრული იქნება).

*) პაპის-პაპა.

ნა, მით უმეტეს, რომ ვამჩნევ ჭიათურაში იდუმალს აგიტაციასა და ბნელს პროპაგანდას საეჭვო კაცთა სასარგებლოდ. ამ გვარს კაცს კი თვით კამისიაც ვერ ასცდა; ფრიად სამწუხაროა, რომ ამგვარს კაცებს თავისს მელაძუობით ქსელი გაუბამთ ზოგიერთ პატივცემულ კაცთა გულისაკენ და სცდილობენ მათით ისარგებლონ.

მართალია, ასეა, მაგრამ ვიმედოვნებთ, გამოცდილი მრეწველნი ასე ადვილად არ მოებმიან საშიშს ანკესს და ადვილად იცნობენ—ვინ არის მათთვის სასარგებლო, ვინ მავნებელი.

ჭიათურა, 19 ოქტომბერი 1901 წ.

სიმონ ქვარიანი.

ᲛᲘᲪᲮᲝᲔᲗᲘ

—

ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ. ვაშინგტონიდამ „Times“-ს ატყობინებენ, კონგრესსი ჯერ-ჯერობით ანარქიის საწინააღმდეგოდ განძრახულს კანონ-პროექტებს არ განიხილავსო. ძირითადი კანონი ამერიკის კონსტიტუციისა ბეჭდვითის და ზეპირის სიტყვის თავისუფლებაა, ამიტომ რა კანონიც უნდა დაადგინონ ანარქისტების წინააღმდეგ, ის იმავე დროს კონსტიტუციის ცვლილების მომასწავებელი იქნება: კონსტიტუციის შესაცვლელად კი აუცილებლად საჭიროა სენატის ორმა მესამედმა და ყველა შტატის საკანონმდებლო დაწესებულებების სამმა მეოთხედმა მისცეს ხმა. არც კონგრესსში, არც შტატების პარლამენტში იმდენი მომხრე არა ჰყავს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას, რომ რაიმე იმედი იყოს ანარქისტების საწინააღმდეგო კანონ-პროექტების დამტკიცებისა. რაც შეეხება საერთა-შორისო ბრძოლას ანარქისტებთან, სენატი ენერგიული მოწინააღმდეგეა ამისი და ამიტომ ამ მხრივაც არაფერი საკეთილო არ არის მოსალოდნელი ანარქიის მტრებისათვის.

— შტატის ლუიზიანას ქალაქს ბალტიმორში სასტიკი შეტაკება მოჰსვლიათ თეთრკანიანებს შავკანიანებთან. შავკანიანებს რელიგიური შეკრებილობა გაუმართავთ, ამ დროს პოლიცია შესულა ერთს რესტორანში, რომელსაც ვაჭრობის უფლება არ ჰქონია. რესტორანის პატრონი ხანგი რევოლვერით ხელში გადაჰლობებია პოლიციელებს და ორი მათგანი მოუკლავს. პოლიციასაც იარაღი უხმარია და ეს ხანგი იქვე წაუქცევია. ზანგის საშველად გამოქცეულა შავკანიანი მქადაგებელი სანადირო თოფით, მაგრამ პოლიციას ისიც მოუკლავს. შემდეგ მომხდარა საერთო არეულობა, შავკანიანები სახლში შეკეტილან და იქიდამ უსროლიათ თოფი. პოლიციას სახლისთვის ცეცხლი წაუკიდებია, ზანგები გარეთ გამოცვივნილან, მაგრამ პოლიციას ყველანი ამოუწყვეტია. ამის შემდეგ თეთრკანიანები და შავკანიანები ერთმანეთს ძალიან ემუქრებიან.

— ჩრდილოეთ ამერიკის სისხლის სამართლის კანონთა კოდიფიკაციისთვის შემდგარმა კომისიამ მოამზადა კონგრესში წარსადგენად ბილლი იმათ დასჯის შესახებ, ვინც პრეზიდენტს დაემუქრება ან თავს დაეცემა. ამ ბილლით მუქარისთვის დამნაშავეს 5 ათასი დოლლარი გადაჰხდება და თავს დასხმისთვის სიკვდილით დაისჯება. აქამდე ჩრდილოეთ-ამერიკის კანონებში განსაკუთრებული კანონი პრეზიდენტის მუქარისა და დაშავებისთვის არა ყოფილა.

ᲰᲝᲚᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ჰოლლანდიის მუშებს ინგლისის გემების ბოიკოტის დაწყება 31 დეკემბრისთვის დაუნიშნავთ. ჰოლლანდიის მუშებს ამ საქმეში მხარს აძლევენ საფრანგეთისა და გერმანიის მუშებიც, გარდა ამისა, ჰოლლანდიელებს მიუმართავთ ინგლისის მუშებისთვის ასეთისავე თხოვნით და მანიფესტი გაუგზავნიათ, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „თქვენ დაგვეთანხმებით, რომ ყოველი ომი მძიმე ტვირთად ხდება ხალხისთვის და ცუდად ჰმოქმედობს იმის ზნე-ჩვეულებაზე. აი მთელი ორი წელიწადია, რაც ინგლისი და ტრანსვაალი ომობენ. დიდძალი ხალხი დაიღუპა ამ ომში და ის ქონებრივი ვნება, რომელიც მიაყენა იმან მუშათა საზოგადოებებს, აღურაცხველია. ჩვენ გვესმის, რა შედეგიც მოჰყვება ჩვენგან განძრახულს ბოიკოტს, მაგრამ ჩვენ გვესმის აგრეთვე, რომ ეს ომი მთელის ერის ამოწყვეტით და ინგლისის სამარცხვინოთ გათავდება, თუ ენერგიულად არ ჩაერევნენ გარეშე პირები ამ საქმეში. აი ამიტომ, ამხანაგებო, გამოგვიწოდეთ ხელი, და ბოიკოტის საშუალებით ვაიძულოთ ინგლისი, დაამთავროს ეს სამარცხვინო ომი“. ევროპაში დიდი იმედი აქვთ, რომ ინგლისელი მუშები მიემხრობიან ჰოლლანდიელებს და დიდს ხიფათში ჩააგდებენ სოლსბერის კაბინეთს.

ᲔᲡ�პᲐᲜᲘᲐ. ესპანიის გაზეთები იუწყებიან, რომ რამდენიმე ქალაქში დიდი უწესობა ჰხდება, ნამეტნავად ქალაქს სევილიაში. 14 ოქტომბრიდამ ქალაქებში ნორმალური წესი ცხოვრებისა აღარ არის; მუშაობა თითქმის ყველა ქარხანებში აჰკვეთეს მუშებმა; სახელოსნოები და დუქნები დაიკეტა. ხალხი ორს ბანაკად გაეყო და ხშირად შეტაკება უხდებათ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. გერმანიაში ამ ჟამად საერთო ყურადღებაა მიქცეული საბაჟო გადასახადების ბედ-იღბლისაკენ. რეიხსტაგის უმრავლესობა, კონსერვატორები, თანაუგრძნობენ ამ კანონ-პროექტს და ბევრი სხვა მომხრეცა ჰყავთ; მაგრამ ყველა ერთნაირი აზრისა არ არის იმის შესახებ, თუ რამდენად უნდა აიწიოს ბაჟი აწინდელთან შედარებით. ნაციონალ ლიბერალების აზრით, ბაჟი მხოლოთ ერთის მარკით უნდა აიწიოს, ცენტრის აზრით, 2 ½ მარკა რომ მოემატოს, სრულიად საკმარისი იქნებაო. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ვილჰელმ II აზრი ამ საგნის შესახებ დანამდვილებით ჯერ არავინ იცის. საზოგადოებაში ხმა დადის, ვითომც ვილჰელმს ეთქვას: „მე გავანადგურებ ყველაფერს, რაც წინ გადაეღობება საბაჟო ხელშეკრულების დადებასაო“.

ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲐ ᲚᲔᲙᲘ.

(ხალხური ლექსი)

—

(თქმული ა. გოძიაშვილისაგან და ჩაწერილი ს. ნგრევის-ხევში დ. ა. მოლოდინაშვილის მიერ).

I

კაცი ცრუი და მკვეხარა
თავისს თავს დააკლებს ბევრსა,
საფრთხეში რომ გაებმება,
გინებას დაუწყებს ბედსა.
რად არ იცის—ავსა ავი
მიეცემა, აჭმევს სენსა.
კაცს თავისს თავზედ ნება აქვს
რაიც ძალუძს, იზამს ბევრსა,
თუნდ სწორე გზაზედ გაივლის,
თუნდ გადავარდება კლდესა;
მადლსა იქმს, ნათელს იშოვის,
ცოდვით-კი შეიკრებს ბნელსა.
მაგალითად, რაც მოუხდა,
დაღისტნელ მკვეხარა ლეკსა:
ბელადს ჰყვანდა ერთი ქალი,
სახით ამგზავსებდნენ მზესა,
იმ ბელადს ჰსთხოვდა ამ ქალსა,
დიდად გასახელებ შენცა:
ნგრევის-ხევიდგან მოგვართმევ
ჩემისთანა ვაჟკაცთ ტყვესა,
შენი ქალი მომეც ცოლად,
პირობით შეგეკვრი მენცა.
მაშინ უბრძანა ბელადმან:
—შენ დაგიბნელებენ მზესა,
ბევრი წავიდა მუქარით,
მოსული ვერ ვნახეთ ჩვენცა,
ხმა გვესმოდა, იქ მოუკლავთ
ნგრევის ხევში ჰყრიდნენ ძვლებსა,
არაგვზედ მაგარი ხალხი
არ მგონია ცასა ქვეშა,
არ გახსომთ, რომ ეძახოდნენ
ლეკია მჭამელს ხამხაძესა?*)...
ისეთი გმირნი ვაჟკაცნი
ებადებათ არაგველთა.

*) ხამხაძე ერეკლე მეორის დროის გმირი იყო, რომელიც მეფეს მარტოდა ჰყვანდა დაყენებული მცხეთისა და საგურამოს საზღვრებზედ, რომ ამ მხრივ არ შემოჰპარვოდა ქართლს ლეკის ჯარი ასაკლებად. ხამხაძის ხსენება თავს ზარსა სცემდა ლეკებსა და მეტ სახელად „ლეკთა მჭამელს“ უწოდებდნენ.

დ. მ.

თუ წახვალ და არ დაიშლი,
მაშინ მომიგონებ მენცა;
თუ მშვიდობით-ლა დაჰბრუნდი,
პირობას ვასრულებ ჩემსა.
ვაჟკაცობად ის გეყოფა,
ქალს მოგცემ და მზითევს ბევრსა.
ბელადს მიუგო პასუხად,
სიხარულს მიეცა ბევრსა:
— ხამხაძე ხომ მოჰკლომიათ,
პასუხს ვინღა მომცემს მენცა?!..
ბელადმან სთქვა: ოთხი ვაჟი
დარჩენია ხამხაძესა,
ძეძეს მოსჭრიან, ძეძვი მოვა,
მაინც უჩხვლეტს, ატკენს ხელსა;
ეგრეთვე არაგვიანნი
არ გაექცევიან მტერსა.
აიღო ოქროს ბეჭედი,
უბოძა მკვეხარა ლეკსა:
— აი, ნიშანი ეს იყვეს,
რაც პირობა დავდეთ ჩვენცა.

II.

აისხა თოფ-იარაღი
და გამოესალმა ძმებსა,
ემთხვია თავისს ყორანსა,
ცრუ მაჰმადის დანარჩენსა,
ბედ-კრული გამოემზადა
და მოჰმართა არაგვს ჩვენსა,
ნგრევის ხევს შემოეპარა,
მიეკედლა „ბნელად-ხევსა“. *)
რა ხმა გავარდა ლეკისა,
ძებნა უწყეს ტყეს და ველსა.
ერთს ჩვენებურს კარგს მეთოფეს
სახელს ეტყოდნენ „მგლის ფერსა“,
რაც გინდა ხმელი გზა შეჰხვდის,
არ არევდის კაცის კვლებსა.
მიჰყვა ნავალს, შეეყარა
დაღისტნელ მკვეხარა ლეკსა;
ისე დაჰხვრიტა მაჟარით,
სულ დააწვევინა ცეცხლსა,
თავი მოსჭრა, ჩამოაცვა
გამწვეტებულს სარის წვერსა;
მარჯვენა მკლავიც მოაჭრა,
ოქროს ბეჭედი აქვს ცერსა.
ის მკლავი ოქროს ბეჭდითა
წარუდგინეს ერეკლესა.
მის დროს პელადიც ქალაქში
ელჩად ახლდა ერეკლესა.
მეფის ოჯახში რა ნახა,
ბეჭედი რომ ჰქონდა ხელსა,
იცნო, წვერთ გლეჯა დაიწყო,
მდუღარეს აფრქვევდა ცრემლსა:
— უშალე, ვერ გავაგონე
ამ სადაღისტნო გმირს ჩემსა,
კვიკი, დედის წინ მარბენი,
არ გადაურჩება მგელსა!

*) „ბნელად-ხევი“ საშიშარი, მიუვალი, დაბურულის ტყით შემოსილი ადგილია ს. ნგრევის-ხევში, საიდგანაც მცირედს მხედრობას ადვილად შეუძლიან ძლიერი მტერი უკუ აქციოს, ეს ადგილი ციხეს ემსგავსება.

დ. მ.

სასამართლოს მატიანე.

ცოლის მკვლელობა.

სენატის საკასაციო სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საკასაციო საჩივარი დავით სვანიძისა ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენზე, რომლითაც სვანიძე ცოლის მკვლელად არის ცნობილი, და სასჯელთა დებულების მე-1451 მუხლის ძალით 12 წლით კატორგაში გაგზავნა მიესაჯა. ამ საქმის გარემოება შემდეგია: 13 ივნისს 1900 წელს ქუთაისის მახლობლად მდინარე რუას ნაპირას იპოვეს ახალგაზრდა ქალის გვამი, რომელსაც 40-ი ჭრილობა აღმოაჩნდა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ეს ქალი მთიელის დავით სვანიძის ცოლი ყოფილიყო და მკვლელობის გუმანიც იმაზე მიიტანეს. გამოძიებამ გამოააშკარავა, რომ სვანიძე და იმისი ახალგაზრდა ცოლი, მაკრინე, ჯვარის წერის შემდეგ ერთი წელიწადი სიამოვნებით სცხოვრობდნენ, შემდეგ კი მაკრინეს ქმარმა ღალატი შეატყო; სვანიძემ იწყინა და ურჩევდა ცოლს, თავი დაენებებინა ცუდის ყოფა-ქცევისათვის. ცოლმა ყური არ ათხოვა და ამის გამო სვანიძემ მიჰყიდ-მოჰყიდა, რაც კი რამ სოფელში ჰქონდა და ქუთაისში გადმოსახლდა. ერთი წლის განმავლობაში ცოლ-ქმარი აქ მშვიდობიანად სცხოვრობდნენ, მაგრამ შემდეგ სვანიძემ ისევ ღალატი შეატყო და ხელ-ახლად დაიწყო უსიამოვნება. მაკრინემ მალე სრულიად გაანება ქმარს თავი და ცალკე დაიწყო ცხოვრება. სვანიძე ხშირად ეხვეწებოდა ცოლს, დაანებე თავი მაგგვარს ცხოვრებას და წინანდებურად ვიცხოვროთო; ერთხელ მაკრინეს მოტრფიალეებს კიდეც ეცემათ სვანიძისთვის. ბოლოს ცოლ ქმარი კიდევ შერიგებულან, ტფილისში გადმოსახლებულან, მაგრამ აქაც ცუდის ყოფა-ქცევის გზას დასდგომია მაკრინე, რომელსაც ბოლოს სრულიად მიუტოვებია ქმარი და ვიღაც თათარს წაჰყოლია ბაქოში. სვანიძე რამდენისამე ხნის შემდეგ წასულა ბაქოში, უნახავს ცოლი და დაუთანხმებია, რომ ერთად წავიდნენ ქუთაისში თავიანთ პატარა ბავშვის სანახავად, გზაზე ბევრს თურმე ეხვეწებოდა სვანიძე, თავი დაანებე მაგ თათარს და რიგიანად ვიცხოვროთო ერთად, მაგრამ მაკრინეს უთქვამს, არ ვიცხოვრებ შენთან, რადგანაც არც შენ მიყვარხარ და არც ჩვენი შვილიო. სვანიძეს ვეღარ მოუთმენია და ხანჯლით აუკუწავს თავისი ცოლი. პირველად ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე და სვანიძეს ნ წლით კატორგა გადაუწყვიტა. სვანიძემ საქმე პალატაში გადაიტანა და თხოულობდა, უდანაშაულოთ ეცნოთ, რადგანაც ოჯახის და სახელის შეურაცხყოფამ ჩამადენინა მკვლელობაო. პალატამ გამართლების მაგივრად უფრო სასტიკი სასჯელი გადაუწყვიტა — 12 წლით კატორგა. სენატში სვანიძემ ითხოვა, ჩემი საქმე ხელმეორეთ განიხილოსო პალატამ, მაგრამ სენატმა ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი დაამტკიცა.

შემოწირულება.

ტროიცკ-სავსკიდგან ბ-ნის ჭიშკარიანისაგან „ივერიის“ რედაქციამ ქალაქის ღარიბ ბავშვების სასარგებლოდ 100 მან. ფული მიიღო.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

24 ოქტომბერი.

ვიტებსკი. დღეს დილის მატარებლით იუსტიციის მინისტრი მოვიდა აქ.

სარატოვი. საგუბერნიო ერობას ნება მიეცა 300,000 მან. სესხად აღებისა საზოგადო სამუშაოსთვის საგზაო თანხის ანგარიშით. ეს ვალი 25 წლის განმავლობაში უნდა იქმნას გასტუმრებული.

ტიუმენი. ქალაქში მარხილები დასრიალებენ. მდინარეზე ყინული გამაგრდა. სიცივე 20 გრადუსამდეა.

პეკინი. ლიხუნგჩანგი კულანდებურად ავად არის; იმის მეგობრების აზრით, ავადმყოფობის მიზეზი ის ჯაფაა, რომელიც ლიხუნგჩანგმა გასწია მანჯურიის შესახებ შეთანხმების მოსაწყობად. — ქვრივი იმპერატრიცა შეთანხმების პირვანდელს რედაქციის წინააღმდეგია და თხოულობს, რომ რუსის ჯარი უფრო ადრე გაიყვანონ მანჯურიიდამ და შეთანხმებაც საბოლოოდ დამტკიცდეს. რაც შეეხება იმ ჯარის რაოდენობას, რომელიც რკინის გზის დასაცველად უნდა დარჩეს, იმპერატრიცა სთხოვს ლიხუნგჩანგს ერთხელ კიდევ მოელაპარაკოს ლესსარს.

ბერლინი. აქ ლაპარაკობენ, რომ საფრანგეთ-ოსმალეთის განხეთქილებას გერმანია შორიდამ უცქერის და იმას ეს გარემოება მხოლოდ იმდენად დააინტერესებს, რამდენადაც საქმე მშვიდობიანობას და სავაჭრო ხელშეკრულებათა დაცვას შეეხებაო. გაზეთები აღნიშნავენ ინგლისის მიერ ყურის მოვრუებას ამ საქმეში, რომელიც საოცრად მიაჩნიათ.

პარიჟი. მას შემდეგ რაც კალიარმა შეატყობინა მთავრობას, კუნძულს მიტილენაზე მივედიო, სხვა დეპეშა აღარ მიუღიათ იმისაგან. კალიარმა მხოლოდ კონსტანტინეპოლის საელჩოს მრჩეველს წევრს, ბაპსტს, შეატყობინა თავის მისვლა კუნძულზე. ეჭვს გარეშეა, რომ მთავრობისაგან გაგზავნილის ინსტრუქციების თანახმად საბაჟოები უკვე დაჭერილი იქმნებიან.

პეკინი. ლიხუნჩანგი სიკვდილის პირას არის.

პარიჟი. „Figaro“ სწერს, საფრანგეთის ესკადრის ყოფნა ოსმალეთის ზღვებში ოსმალეთის მთლიანობას არ არღვევს. ხონთქარი სცდილობს, კუნძულის კიპრის გამო დადებულის ხელშეკრულების ძალით, ინგლისი მოიშველიოს, მაგრამ ინგლისს არც ერთის ევროპის სახელმწიფოს წინააღმდეგ არ შეუძლიან იმოქმედოსო. — „Echod Paris“-ს სწერენ კონსტანტინეპოლიდამ, ეშინიათ, რომ მიტილენის ბერძნებს, რომელთაც კარგა ხანია სწადიათ საბერძნეთს მიეკედლნენ, საფრანგეთის ესკადრის მოსვლა წააქეზებს ამბოხების მოსახდენადო.

რომი. ოფიციალური გაზეთი „Tribuna“ ამბობს, საჭუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ოსმალეთ-საფრანგეთის განხეთქილება სხვა სახელმწიფოებსაც აამხედრებს. იტალია მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებდა მოქმედებას, ხმელთა შუა ზღვაზე დამყარებულს statu quo-ს რომ რაიმე ხიფათი უჩნდესო. გაზეთის აზრით, განხეთქილება მშვიდობიანად გათავდება.

ბრიუსსელი. ჰაგიდამ ოფიციალურად უარ-ჰყოფენ გაზეთ „Petit Bleu“-ს საშუალებით, ვითომც ტრანსვაალის და ორანჟეს რესპუბლიკის წარმომადგენლებს დაედგინოთ, მიჰმართონ რეპრესსალიებს და ტყვედ წაყვანილს ინგლისის ოფიცრებს ისევე მოეპყრონ, როგორც ინგლისელები ეპყრობიან ბურთა ოფიცრებს.

ტულონი. დილით ესკადრა სრულიად მოემზადა ბრძანების მიღების უმალ გასამგზავრებლად. ჯავშნიანი გემები „Bouvet“ და „Jaure quiberry“ (?) სრულიად შეაკეთეს და დღეს ნავთ-საყუდელიდამ გამოვლენ. — კალიარმა დაუბრკოლებლივ გადასხვა ჯარი ნაპირზე და გემები მიტილენის უმთავრესს ნავთსაყუდლებში გაგზავნეს. „Echo de Paris“ ამას ზედ ურთავს, კალიარმა საბაჟო დაიჭირაო. მთავრობამ ნება დაჰრთო ქალაქ სმირნის დაჭერისა.

რომი. Tribuna-ს ცნობით უკვე დიდი ხანია ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ 7 ნოემბერს, ჯავშნიანის გემის „ბრინის“ ზღვაში ჩაშვების შემდეგ, მეორე საზღვაო დივიზია, როგორც წინად, ეხლაც სმირნასა და სხვა აღმოსავლეთის ნავთსაყუდლებისკენ გასწევს. „Tribuna“ ამბობს, საფრანგეთ-ოსმალეთის განხეთქილების მეოხებით არ ვიცით, რომელ ადგილას გაჩერდებიან იტალიის გემებიო, — „Patria“ ამბობს, არავითარი ბრძანება არა ყოფილა საზღვაო დივიზიის აღმოსავლეთისკენ გაგზავნის შესახებ და მმართველობას წრეებში ეჭვის თვალით უყურებენ, რომ ეს ეხლა შესაძლებელი იყოსო.

სოფია. კრების პრეზიდენტი გეშოვი სამსახურიდგან გამოვიდა იმ საბუთით, რომ ბევრი კერძო საქმეები მაქვსო. როგორცა სჩანს, საერო დასს, რომლის ბელადათაც გეშოვი იყო, ამ გარემოებით მმართველობის გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩაყენება უნდა.

პარიჟი. ლონდონიდამ მიღებული დეპეშები უარ ჰყოფენ იმ ხმას, ვითომც ოსმალეთს ინგლისისათვის შუამდგომლობა ეთხოვოს საფრანგეთთან განხეთქილების მოსაწესრიგებლად. - „Matin“-ის კორრესპონდენტი ლონდონიდამ იუწყება, გარეშე საქმეთა სამინისტრომ გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა, ინგლისი ნეიტრალიტეტს დაიცავს და ძალიან ნასიამოვნები დარჩება, თუ ხონთქარს საფრანგეთი ღირსეულს ვაკეთილს მისცემსო. ინგლისი ამასთანავე პირდაპირ აცხადებს, არავითარს პასუხს არ მივცემთ კუნძულის კიპრის შესახებ ოსმალეთს, რამდენიც უნდა გვეკითხოსო.

25 ოქტომბერი

ორენბურგი. დღეს ორენბურგის და ტურგაის გუბერნატორის, ქალაქის, წოდებათა და დაწესებულებების წარმომადგენელთა და დიდ-ძალის ხალხის თანადასწრებით პარაკლისი გადიხადა ეპისკოპოსმა ვლადიმირმა ურალზე ხიდისათვის საძირკველის ჩაგდებისა და ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზის ჩრდილოეთ ნაწილის გაკეთების დაწყების გამო. რკინის გზის სამმართველომ პარაკლისის შემდეგ სადილი გამართა.

მოსკოვი. ოლქის სასამართლომ ყაზახს კიზალევს, მგალობლად ნამყოფს მოხუცის დედაკაცის კლიუჩარევა-კიზილევის მოკვლისთვის, რომელიც პეტროვსკის მონასტერში მოჰხდა, 12-ის წლით კატორგაში გადაუწყვიტა.

ხაბაროვსკი. 17-ს ივლის ნახევარს კუნძულს კამჩატკაზე დაიწყო ამოფეთქება ვულკანმა და დრო გამოშვებით ისროდა სითხეს 22 ივლისამდე. ამოფეთქების წინ საშინელი გრგვინა იყო დედა-მიწაში, რომლის ხმაც 100 ვერსის მანძილზე ისმოდა, ყველაფერი იძროდა. ცეცხლის ამოსროლა 15 ივლისს გათავდა და ამის შემდეგ ვულკანიდამ საშინელი ორთქლი და კვამლი ამოდიოდა. ვულკანიდამ ამოსროლილმა სითხემ მდინარეებში წყალი მოწამლა. კამჩატკის მომეტებული ნაწილი ვულკანიური მტვრით გაივსო, რის გამოც ყველას ხველა დააწყებინა. 9 აგვისტოს კამჩატკაში მსუბუქი [illegible] შეინიშნა.

კონსტანტინეპოლი. უკვე ცნობილი მოთხოვნათა ბაპსტმა პორტას კიდევ შემდეგი მოსთხოვა: ზღვის ნაპირების საქმის საბოლოოდ დამთავრება, გათავება ტუბინის საქმისა, რომლის შესახებაც უკვე შეთანხმება მოხდა, მაგრამ სხვა-და-სხვა პორტასაგან შექმნილ დაბრკოლებათა გამო, ჯერ არ ასრულებულა, და ბოლოს ორანდოს დაკმაყოფილება საფრანგეთისაგან გამორკვეულის პირობებით. ზოგიერთა პარიზელი გაზეთების სიტყვას, ვითომ სულთანი დასთანხმდა საფრანგეთისაგან წარდგენილ პირობებზეო, აქაური ფრანგული ოფიციალური წრეები არ ამტკიცებენ.

ბერლინი. დღეს შესდგა საქალაქო არჩევნები 16 საარჩევნო ოლქში. მესამე კლასის ამრჩევლებლა, როგორც შემოწმებულია, აირჩიეს 13 სოციალ დემოკრატი და სამი ლიბერალი. აქამდისინ ოლქის წარმომადგენელად იყვნენ 7 სოციალ-დემოკრატი, 8 ლიბერალი და ერთიც კონსერვატორი.

კონსტანტინეპოლი. პორტამ გუშინ სულჩოს წევრს ბაპსტის გაუგზავნა ნოტა ყოველ თვიური ორდერებით, რომლით შეიძლება მიღება სატამოჟნო გარდასახადისა, იმ ფულის გასანაღდებლად, რომელსაც ითხოვდნენ ლოსანდი და ტუბინი ნოტაში მოყვანილია ოსმალეთის მთავრობის ცნობილი გარდაწყვეტილებები ზღვის პირის ადგილების და ტოპი ადა — ბაზარის გამოსყიდვის შესახებ. ბაპსტმა ნოტა პარიზში გაგზავნა.

პარიზი. ლარესანსა შუა დღის უკან ხანგრძლივი ლაპარაკი ჰქონდა კონსტანთან. საზღვაო მინისტრმა საღამოს 6 საათზე დეპეშა მიიღო კალარის დეპეშა. კალარი იტყობინება, რომ ესკადრსა წინანდებულად მიტლენის ახლოს არის და ჯერ ზღვაოსანი ჯარი ხმელეთზე არ გადმოსულა, რადგანაც ჯერ კიდევ ღელავს.

სირა. საფრანგეთის ესკადრა ეს არის ეხლა შემოვიდა ჩვენ ნავთსადგურში.

კონსტანტინოპოლი. მარძრილოს ზღვას ნაპირის უბანში ერთი კაცი გახდა შავი ჭირით ავად და გარდაიცვალა.

პეკინი ლიხუნ-ჩანგი 11 საათზედ გარდაიცვალა.

განცხადება

ᲦᲘᲠᲡᲫᲛᲜᲘᲚᲘ

უმაღლეს იმპერატრებრივს

ჯილდოსი

ფოტოგრაფია
ა. ს. როინაშვილისა

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

მოწვეულია ახალი გამგე ფოტოგრაფიისა. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარი ფოტოგრაფიულის სურათისა, რომელიც თავის დროზე და გულმოდგინეობით მზადდება. ფასები ყველასთვის ხელ-მისაწვდენია, მოსწავლეთათვის შეღავათიანი.

ფოტოგრაფია გაღებულია დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ფოტოგრაფიას მრავლად მოეპოვება მუშტართათვის საქართველოს და კავკასიის შესანიშნავის ადგილების ტიპების და ძეგლების სურათები. (3—უ—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.